საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/279

ქ.ბათუმი 30 ნოემბერი, 2022 წ

2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში პროგრამის „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" ფარგლებში სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს 2022-2023 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 29 ივლისის №06-01/55 დადგენილების, ,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს პროგრამის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2022 წლის 27 იანვრის N75694 ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსის, ნ. წერეთელის 2022 წლის 22 ნოემბრის MES 9 22 0001493418 კორესპონდენციისა და სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 30 ნოემბრის №1522432 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში პროგრამის ,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" ფარგლებში სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესი **(დანართი N1).**

2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

,,2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში პროგრამის ,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" ფარგლებში სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ"

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 30 ნოემბრის N01-02/279 ბრძანების დანართი N1

,2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში პროგრამის ,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" ფარგლებში სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესი

1. წინამდებარე წესის მიზანია სახელმწიფო პროგრამის ,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" ფარგლებში ბსუ-ს საბაკალავრო, მედიცინის მიმართულებით ერთსაფეხურიანი, დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო - სამაგისტრო პროგრამებზე (გარდა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებისა) ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხულ **224 სტუდენტზე, 2022 წლის 01 ოქტომბრიდან 2023 წლის 01 მარტამდე** პერიოდისათვის (სულ 5 თვის), თითოეულზე ყოველთვიური 150 ლარის ოდენობით სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემისათვის კრიტერიუმების შემუშავება.
2. სახელმწიფო სტიპენდია ინიშნება და გაიცემა ეტაპობრივად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი კორესპონდენციისა და სახელმწიფო დაფინანსების მიღების შემდეგ ბსუ-ს რექტორის სამართლებრივი აქტის საფუძველზე (თანხმდება სასწავლო პროცესის დეპარტამენტთან, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან).
3. სახელმწიფო სტიპენდია ენიშნება იმ სტუდენტს, რომელსაც წინა სემესტრში ათვისებული აქვს <u>არანაკლებ 27 კრედიტი</u> და <u>(წინა სემესტრში,</u> როგორც ძირითადი ან/და დამატებითი პროგრამით ან/და საკუთარი ინიციატივით დარეგისტრირებული თავისუფალი კომპონენტში/სასწავლო კურსში) მიღებული აქვს <u>,,საშუალო შეწონილი" ფორმულით მინიმუმ 81 ან მეტი ქულა.</u>
4. ბსუ-ში სახელმწიფო სტიპენდიანტთა რაოდენობა განისაზღვრება სახელმწიფოს მიერ გაცემული დაფინანსების ოდენობის გათვალისწინებით ბსუ-ს აქტიურ სტუდენტის სტატუსის მქონე პირთა საერთო რაოდენობიდან თითოეულ ფაკულტეტზე აქტიური სტუდენტთა რაოდენობის პროცენტული წილის შესაბამისად.
5. წინამდებარე წესის მე-4 პუნქტში აღნიშნული პროპორციის გათვალიწინებით, ბსუ-ს სტუდენტური პორტალის მონაცემებით 2022 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სახელმწიფო სტიპენდიის მიმღები სულ 224 სტუდენტი შეიძლება იყოს, მათ შორის:

ა) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე - 45 სტუდენტი;
ბ) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე - 41 სტუდენტი;
გ) იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე - 40 სტუდენტი;
დ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე - 32 სტუდენტი;

ე) ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტზე- 25 სტუდენტი;
ვ) ტურიზმის ფაკულტეტზე - 22 სტუდენტი;
ზ) ტექნოლოგიური ფაკულტეტზე - 19 სტუდენტი.

6. **საფაკულტეტო კვოტის ფარგლებში** სტუდენტების მიერ თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში (თუკი ბოლო 2 ან მეტ სტუდენტს დაუფიქსირდება ერთი და იგივე საშუალო შეწონილი ქულა), უპირატესობა მიენიჭება შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე, სხვადასხვა სამეცნიერო ან სასწავლო კონფერენციებში, სემინარებში, სიმპოზიუმებში და ა.შ. მონაწილეობის მიმღებ და მაღალი მიღწევების მქონე სტუდენტს (საუნივერსიტეტო კონფერენციები და სხვა, შესაბამის ფაკულტეტზე არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით).
7. თუკი შესაბამის ფაკულტეტზე, წინამდებარე წესით გათვალისწინებული კვოტის ფარგლებში დარჩება აუთვისებელი კვოტა (შესაბამისი თანხა), იგი გადანაწილდება იმ ფაკულტეტის სტუდენტებზე, რომლებსაც ყველაზე მაღალი აკადემიური მოსწრება აქვს.
8. წინამდებარე წესის აღსრულების მიზნით ფაკულტეტების დეკანები არაუგვიანეს 2022 წლის 10 დეკემბრისა ბსუ-ს რექტორს წარუდგენენ წინამდებარე წესში აღნიშნულ სტუდენტთა რაოდენობაზე (კვოტაზე) 5 (ხუთით) მეტი სტუდენტის მონაცემებს. ფაკულტეტების სამსახურებრივ ბარათებში უნდა აისახოს სახელმწიფო სტიპენდიანტების კანდიდატების შესახებ შემდეგი ინფორმაცია: სტუდენტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, სწავლების საფეხური და საგანმანათლებლო პროგრამა, სწავლების წელი/სემესტრი, ბოლო სემესტრის საშუალო შეწონილი ქულა.
9. **სახელმწიფო სტიპენდია არ დაენიშნება:**

ა) ბსუ-ს სტუდენტის სტატუსშეჩერებულ/სტატუსშეწყვეტილ პირს;
ბ) სამაგისტრო ან სადოქტორო პროგრამის სტუდენტს;
გ) აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს (გარდა იმ სტუდენტისა, რომელსაც ბსუ-ს გაცვლითი პროგრამაში მონაწილეობის გამო, დადგენილ ვადაში ასათვისებელი აქვს ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები);
დ) სტუდენტს, რომელსაც შესრულებული აქვს შესაბამისი საგანმანთლებლო პროგრამის მოთხოვნები და მიენიჭა შესაბამისი აკადემიური ხარისხი;
ე) სტუდენტს, რომელსაც წინა სემესტრში ათვისებული აქვს 27 კრედიტზე ნაკლები;
ვ) დამატებითი სასწავლო სემესტრის (ვადაგაგრძელებულ) სტუდენტს.